საიდ. N76225/03

IR 1193454

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N103-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ზენტივა გრუპ, ა.ს” (ZENTIVA GROUP, A.S.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N103-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N1566/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის **„MEMOZEN”** (საიდ. N76225/03, IR 1193454) დაცვის მინიჭება საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის

N1566 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანს „MEMOZEN“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „WORLD MEDICINE İLAÇ SANAYİ VE TİCARET LİMİTED ŞİRKETİ“ (მის: Evren Mah. Camiyolu Cad. No:50 K:1 B, Zemin 4-5-6, Güneşli Bağcılar İstanbul) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა - **„MOMEZON MOMEЗOH“** (IR 1191310, საერთაშორისო რეგისტრაციის და საქართველოზე გავრცელების თარიღი 23.08.2013). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი სიტყვიერია და არცერთს არ აქვს გამოსახულება. ამ ორ ნიშანს შორის განსხვავებას წარმოადგენს სამი ასო, აგრეთვე, რეგისტრირებულ ნიშანს ახლავს კირილიცათი შესრულებული ნაწილიც. თუმცა, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას. მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, ნიშნები აღრევამდე მსგავსია. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის მიმართ მომხმარებელი შესაძლოა შეცდომაში შევიდეს და მცდარი წარმოდგენა შეექმნას მწარმოებელზე. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი „ზენტივა გრუპ, ა.ს” (ZENTIVA GROUP, A.S.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან

განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „მე-მო-ზენ“, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო ნიშანი კი - „მო-მე-ზონ“. აპელანტის პოზიციით, ნიშნები განსხვავებულია ასევე, ვიზუალურად - „MEMOZEN – MOMEZON“. აპელანტის მითითებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განცხადებულ ნიშანს ბევრ ქვეყანაში (AM, BY, RU, TM DA UZ) უარი არ ეთქვა რეგისტრაციაზე და მიენიჭა დაცვა მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში სასაქონლო ნიშანი „MOMEZON“ უკვე იყო რეგისტრირებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1566/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MEMOZEN“ (საიდ. N76225/03, IR 1193454) დაცვის მინიჭებას საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MEMOZEN” (საიდ. N76225/03, IR 1193454) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MOMEZON MOMEЗOH“ (IR 1191310) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს. ორივე ნიშანი შესრულებულია

სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვა შესრულებულია კირილიცაზე, აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. ორივე სასაქონლო ნიშანი შეიცავს იდენტურ ასოებს, რომელთა განსხვავებული განლაგება ნიშანში, ვერ უზრუნველყოფს ნიშნების განსხვავებას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „მემოზენ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „მომეზონ“.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MEMOZEN" (საიდ. N76225/03, IR 1193454) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ზენტივა გრუპ, ა.ს“ (ZENTIVA GROUP, A.S.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N1566/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. ებრალიძე

ს. დუმბაძე